ხელშეკრულება სახელმწიფო მომსახურების შესყიდვის შესახებ №438

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2018 წლის 24 დეკემბერი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1.წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: ერთის მხრივ, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მინისტრის მოადგილის ბესიკ ოდიშარიას სახით (შემდგომში „დამკვეთი") და მეორეს მხრივ შპს ,,თბილსერვისჯგუფი" დირექტორის ლევან ჯღარკავას სახით (შემდგომში „შემსრულებელი") შორის. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

2. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1.„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ „ხელშეკრულება") არის _ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტებით და დამატებებით, და ასევე იმ დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

2.2.„შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „დამკვეთი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.3.„შემსრულებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

2.4.„ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.5.„დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 შემსრულებელი დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე ახორციელებს ბალანსზე რიცხული ქონების განადგურება-დამარხვის მომსახურებას ქ.თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე (შემდგომში ,,მომსახურება)

CPV კლასიფიკატორის კოდი - 90513300 - მომსახურებები ნარჩენების ინსენირაციის /დაწვის/ განადგურების სფეროში

4. ხელშეკრულების პირობები

4.1. შემსრულებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მოემსახუროს დამკვეთს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. დამკვეთი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.შემსრულებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად განახორციელოს 3.1. მუხლში აღნიშნული მომსახურება.

5.2.შემსრულებელს უფლება აქვს, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში დამკვეთისგან მოითხოვოს მომსახურების ღირებულების დროულად გადახდა. დამკვეთისგან მოითხოვოს წინამდებარე ხელსეკრულების პირობების დაცვა.

5.3. დამკვეთი ვალდებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.

5.4. დამკვეთს უფლება აქვს მოითხოვოს შემსრულებლისგან უხარისხოდ გაწეული მომსახურების გამოსწორება, მოითხოვოს შემსრულებლისგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

5.5. მხარეები ვალდებულები არიან დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

6. ანგარიშსწორება და ხელშეკრულების ღირებულება.

6.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

6.2. განადგურება-გაუვნებლყოფის მომსახურების ღირებულება შეადგენს 9 (ცხრა) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

6.3. დამკვეთი ვალდებულია ჩარიცხოს თანხა შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში.

6.4. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ მხარეებ ადგენენ სამუსაო მიღება-ჩაბარების აქტს, რაც ადასტურებს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი.

7.1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

7.2.ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებთ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესრულებული ვალდებულებების შესრულების მოვალეობისაგან.

8. სადავო საკითხების მოგვარება.

8.1 დამკვეთს და შემსრულებელს შორის წინამდებარე ხელშეკრულების რეალიზაციისას წარმოშობილი სადავო საკითხები წესრიგდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.

9. დასკვნითი დებულებები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მუხლი და დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილების შეტანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რომელისც უნდა იყოს წერილობით, ზეპირ გარიგებას ძალა არა აქვს.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლირად თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლიარი გადაეცენმა დამკვეთს , ხოლო ორი ეგზემპლირი ინახება შემსრულებელთან

აფხაზეთის ა/რ განათლებისა
და კულტურის სამინისტრო.
ქ.თბილისი უზნაძის ქ.№68
ს/კ 249258761
,,სახელმწიფო ხაზინა"
ბ/კ TRESGE22
ა/ნ 200122900

შპს ,, თბილსერვის ჯგუფი"
მისამართი. ქ.თბილისი კახეთის
გზატკეცილი #67
ს/კ 206267494
ს.ს. ,ლიბერთი ბანკი"
ბ/კ LBRTGE22
ა/ნ GE 90LB 0113172770216000

მინისტრის მოადგილე

ბესიკ ოდიშარია

დირექტორი

ლევან ჯღარკავა